საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 1661
13/03/2020

1661-0-4-202003131601

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი კორონა ვირუსი პანდემიად გამოაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები გაიცა სახელმწიფო უწყებების მიერ. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, აუცილებელია, სათანადო ღონისძიებები გატარდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით.

გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების შესაბამისად:

ვბრძანებ

მუხლი 1. კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2020 წლის 13 მარტიდან ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე, შეიზღუდოს:

1. ისეთი კომისიების, სამუშაო ჯგუფების, საბჭოების სხდომები, რომელზეც დასწრება უწევთ მოქალაქეებს;

2. კულტურული, სოციალური, ახალგაზრდული, სპორტული და განათლების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები;

3. მოქალაქეთა მიღებები, ასევე საჯარო შეხვედრები მოქალაქეებთან;

4. მოქალაქეთა ჩართულობით ადმინისტრაციული საჩივრების (ზეპირი სხდომების) განხილვა, აუცილებლობიდან გამომდინარე განხილვა ჩატარდეს საკომუნიკაციო საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

მუხლი 2. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეები (რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას) გადავიდნენ დისტანციურ

შრომის პირობებზე ამ ბრძანების 1-ლი მუხლით განსაზღვრული ვადით. აღნიშნული საკითხის ორგანიზაციული უზრუნველოფა დაევალოთ კურატორ მოადგილეებს.

მუხლი 3. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მყოფ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ამ ბრძანების მოქმედების პერიოდში შეზღუდონ მოქალაქეთა შემოსვლები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას.

მუხლი 4. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მყოფ ყველა პირს დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია